



ხარისხის მენეჯერის ანგარიში და რეკომენდაცია


გორი

2019წ

➤ **შესავალი**

საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ხარისხის მართვის პროცესში ცენტრალურ ადგილს იკავებს სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესება. ხარისხის მართვის ძირითად ქმედებებს წარმოადგენს ხარისხის დაგეგმვა, განხორციელება, კონტროლი რაც თავის მხრივ მიმართულია ხარისხის გაუმჯობესებისაკენ.

ხარისხის მენეჯერის მუშაობა დაფუძნებულია მუდმივ გაუმჯობესებისეებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ციკლზე, რომელიც შედგება 4 რგოლისაგან:



➤ **სამოქმედო დაგეგმვის მიხედვით დაგეგმილი აქტივობა**

2018 წლის 29 იანვრის #1 გადაწყვეტილებით საზოგადოებრივმა კოლეჯმა ამაგმა მოიპოვა პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება როგორცაა:

1. ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა
2. ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა
3. პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა

2019 წ 09 სექტემბრის #167 გადაწყვეტილებით საზოგადოებრივმა კოლეჯმა ამაგმა მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება

1. საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია სააფთიაქო
2. საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება
3. საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარია

➤ **ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების დინამიკა**

2018 წ პროფესიულ სტუდენტთა დინამიკა პროფესიულ პროგრამებზე

#	პროგრამა	პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა
1	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა	20
2	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა	14
3	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა	19

2019 წ პროფესიული სტუდენტთა დინამიკა პროფესიულ პროგრამებზე

#	პროგრამა	პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა
1	საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია სააფთიაქო	33
2	საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება	24
3	საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარია	13

➤ კვალიფიკაციის მინიჭება

2019 წლის მონაცემებით კვალიფიკაცია მიენიჭა 37 კურსდამთავრებულს.

ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია - 14 კურსდამთავრებული

ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია -23 კურსდამთავრებული

➤ ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციები

2018 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ იქნა მიღებული რეკომენდაციები . ასევე სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაიხვეწა საგნობრივი პროგრამები.რაც განპირობებულია შეფასების სისტემის მოქნილი სისტემა და სასწავლო მიდგომები.

- ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამის სოციალური ფარამაციის სილაბუსში განისაზღვრა პირველ და მეორე წელს ჩასატარებელი საათების რაოდენობა
- სილაბუსში პრაქტიკა -სოციალური ფარმაცია განისაზღვრა პირველსა და მეორე წელს ჩასატარებელი თემატიკა შეთანხმდა და გადაიხედა პრაქტიკის განმახორციელებელ პერსონალთან სააფთიაქო ქსელი ბარბარე -ნანკა ჟორდანია , შპს პსპ ფარმა - ნატა ჩხაიძე.
- დაიხვეწა შეფასების სისტემა ცალკეული შეფასების კომპონენტი ჩაიშალა
- **ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლება** ბავშვთა მოვლა, ნევროლოგიური ავადმყოფის მოვლა განისაზღვრა თეორიული სწავლების შემდეგ

2019 წლის ექსპერტთა მიერ იქნა მიღებული რეკომენდაციები . რომელიც მოიცავდა

- საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარიაში სტანდარტული ჩანაწერის ჩასწორება
- საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა ვეტერინარია პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებებში მატერიალური რესურსის და ერთდროულად პროფესიული სტუდენტების მიღების ჩანაწერის არსებობა
- საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლებაში სასწავლო გეგმის შესწორება აღნიშნული რეკომენდაციები იქნა აღმოფხვრილი და შესწორებული დაუყოვნებლივ.


- 2019 წელს სასწავლო გარემოსა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები



- 2019 წელს განხორციელდა ფართის ცვლილება რამაც ხასგასმით გააუმჯობესა გარემო პირობები.
- ახალ მისამართზე დაგვიდა გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; სტანდარტის შესაბამისად განახლებული კომპიუტერული ლაბორატორია;
- 2019 წელს ფართის ცვლილებამ ხანძარსაწინააღმდეგო და სათვალთვალო კამერების პრობლემა აღმოიფხვრა.
- 2019 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით კოლეჯმა მოიზიდა კვალიფიციური კადრი პროგრამების გასახორციელებლად დაიდო მემორანდუმი სხადასხა ორგანიზაციებთან სამომავლოთ სტუდენტთა პრაქტიკისა და კურდამთავრებულთა დასაქმების მიმართულებით.

➤ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კვალიფიკაციაზე ზრუნვა

მოდულური პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებით განხორციელდა ტრენინგები და შეხვედრები



1. საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული მასწავლებელმა და პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის ხელმძღვანელმა მარიამ ჯოხაძემ მონაწილეობა მიიღო ვერიფიკაციის პილოტირების პროექტში, რომელიც ჩატარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში ტრენინგის - ნინო ხითარიშვილის მიერ.
2. საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში მხარდაჭერის ვიზიტით იმყოფებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარე მხარდაჭერის ექსპერტი ქალბატონი ნინო ბალანჩივაძე . გარე მხარდაჭერის სპეციალისტი შეხვდა კოლეჯის პერსონალსა და პროგრამის განმახორციელებლებს, სადაც განხილულ იქნა კანონი პროფესიული განათლების შესახებ. ექსპერტი გაეცნო მიმდინარე პროცესებს სადაც დაწესებულების თანამშრომლებმა მიიღეს რეკომენდაციები.
3. საზოგადოებრივი კოლეჯის ორგანიზებით ურთიერთთანამშრომლობის ეგიდით გაიმართა შეხვედრა სს დედათა და ბავშვთა ცენტრ იანვანას მედპერსონალთან. შეხვედრის ფარგლებში, მათ საშუალება ჰქონდათ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიეღოთ ინფორმაცია პროფესიული პროგრამის საექთნო განათლების შესახებ.
4. საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული მასწავლებლებისათვის და პრაქტიკის ინსტრუქტორებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე- შეფასების სისტემა მოდულურ პროგრამებში. ტრენინგს უძღვებოდა ხარისხის მენეჯერი ნინო დვალი.
5. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში დაიგეგმა არა ერთი შეხვედრა განმახორციელებელი მასწავლებლების აქტიური ჩართულობით.
6. საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში 25 თებერვალს ჩატარდა პროფესიულ მასწავლებელთათვის ტრენინგი-- „მოდულის არსი და რეკომენდაციები“ .ტრენინგს უძღვებოდა კოლეჯის ხარისხის მენეჯერი- ნინო დვალი . პროფესიული მასწავლებლებისათვის მომზადდა სლაიდ შოუ, სადაც დეტალურად იყო მოცემული მოდულის არსი ,სრუქტურა , და რეკომენდაციები.
7. 2019 წლის 26 ივნისს საქართველოს კარიტასის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სიმპოზიუმი "გერიატრიული პაციენტის პრობლემების მართვა საექთნო პრაქტიკაში" პრეზენტაციები წარმოდგენილი იქნა ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ. აღნიშნულ შეხვედრას დაესწრო საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული მასწავლებელი და ასევე საექთნო განათლების პროგრამის ხელმძღვანელი ქალბატონი მარიამ ჯოხაძე.

➤ **პროგრამის შეფასება და რეკომენდაცია**

ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების დაყრდნობით მოვახდინე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება, სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დამსაქმებელთა და ადმინისტრაციის კითხვარებს);

საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პროფესიული სტუდენტების აზრით მოდული ანატომია-ფიზიოლოგია კვირაში 15 საათი მიუღებელია. მათი აზრით მასალის ახსნას სათანადოდ ახორციელებს პროფესიული მასწავლებელი თუმცა მისი შესწავლა და გააზრება რთულდება მასალის მოცულობიდან გამომდინარე.

პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებელთა დარგის სპეციალისტებთან ერთად განვიხილეთ აღნიშნული საკითხი 2019.23 დეკემბრის N 6 ომის საფუძველზე საექთნო განათლების N 1 დანართში შევიდა ცვლილება.

საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარია

2019 წელს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი ჩაერთო სახელმწიფოს მიერ დაფინანსების პროგრამაში. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანად დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ ტესტირების გზით ჩარიცხული სტუდენტების მიერ.

ხარისხის მენეჯერის რეკომენდაციით ვეტერინარიის პროფესიული პროგრამის ფარგლებში მოეწყო C გარემო რომელიც აღიჭურვა პროგრამისათვის საჭირო თვალსაჩინოებებით და მულიაყებით.



რეკომენდაცია კვოტის გაზრდის მიზნით

- ❖ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 2016 წელს, ბოლო მონაცემებით ქვეყანაში 17093 ექთანია და ეს არაა საკმარისი. ბევრ საავადმყოფოში, განსაკუთრებით იმ სამედიცინო რგოლებში, სადაც ექთნების დიდი რაოდენობაა საჭირო, საკადრო დეფიციტის გამო ექთნების დატვირთვა მაღალია. შიდა ქართლის რეგიონში არსებული სამედიცინო დაწესებულებები გაფართოვდა. ქ. გორის სამედიცინო ცენტრ „გორმედს“ დაემატა ორი ახალი ფილიალი ქარელსა და ხაშურის მულიციპალიტეტებში. 2018 წლიდან სამედიცინო ცენტრი „მედიქალ ცენტრი“ წარმატებით ახორციელებს საქმიანობას და ზრდის საქმიანობის არიალს. სს გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის დირექტორთან ონტერვიურებით გამოიკვეთა რომ 30 % მედ-პერსონალი საკენსიო ასაკს მიახლოვებულია. ჩამოთვლილი მიზეზთა გამო გაიზარდა ექთნის დასაქმების მაჩვენებელი. საექთნო განათლების პროფესიული პროგრამის მიმართ ინტერესი გამოიხატება აპლიკანტთა მომართვიანობითაც. ყველა ამ გარემოებებიდან გამოვდინარე გამოვთქვავ მოსაზრებას გაიზარდოს პროგრამის ზღვრული რაოდენობა საექთნო განათლების პროფესიული პროგრამისათვის.
- ❖ საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი 2012 წლიდან ახორციელებს ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ პროგრამას. აღნიშნულ პროგრამაზე აპლიკანტთა რაოდენობა მაღალია. კურსდამთავრებილთა მაჩვენებელი 100% დან 76.9 % გახლავთ დასაქმებული. მომხმარებლის გაზრდილი მოთხოვნილებიდან გამომდინარე შიდა ქართლში გაიზარდა ფილიალების რაოდენობა. საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი წარმატებით თანამშრომლობს სააფთიაქო ქსელს 33 -ფარმა, სააფთიაქო ქსელ ბარბარესა და შპს გორიფარმთან . 2020 წელს თამანშრომლობის სურვილი გამოთქვა სააფთიაქო ქსელ „გეფა; ს წარმომადგენლობამ და შიდა ქართლის რეგიონისათვის იზრუნებს კადრის აღზრდაში შეიტანოც წვლილი და პრაქტიკული კურსს გატარებას სააფთიაქო ქსელის ბაზაზე. ყოველივე ზემო აღნიშნული გათვალისწინებით გაიზარდოს პროგრამის ზღვრული რაოდენობა ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული პროგრამისათვის.